ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6209468

ნომერი: AR1930605

თარიღი : 26.10.2022

გაცემის თარიღი : 15.11.2022

გაცნობის თარიღი : 16.11.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, არქანჯელო ლამბერტის ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა გეთიაშვილი პ/ნ 01011017300
- თბილისი ქ.ჩოლოყაშვილის ქ. I კვ. კორ. 1 ბ. 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 26

ოქტომბერს №AR1930605 განცხადებით მომართა გოჩა გეთიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ღია ავტოსადგომების ფართობთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, არქანჯელო ლამბერტის ქუჩა №16-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.040.144), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2020 წლის 18 დეკემბრის №5226057 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 18 დეკემბრიდან 2022 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით 0.00 ნიშნულის გეგმაზე გათვალისწინებულია 10 ღია ავტოსადგომი (151.5 კვ.მ.), რომლებიც ბრძანებაში ასახული არ არის. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ღია ავტოსადგომების ფართობის (151.5 კვ.მ.) სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილია 10 ღია ავტოსადგომი (ფართობი: 151.5 კვ.მ.), რომელიც ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ასახული არ არის. შესაბამისად, სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი (151.5 კვ.მ.). ამასთან, 0.00 ნიშნულის გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ ღია ავტოსადგომების ზომების და ფართობების დატანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 151.5 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 04 დეკემბრის №5213299 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.